MONETARY CIRCULATION IN THE KINGDOM OF KARTL-KAKHETI (1744-1801)[1]
ფულადი მიმოქცევა ქართლ-კახეთის სამეფოში (1744-1801 წწ.)[2]

IRAKLI PAGHAVA
PhD in History,
Associate Researcher of
G. Tsereteli Institute of Oriental Studies,
Ilia State University
Tbilisi, g. Tsereteli 4, Georgia
5-77-425-426, mesefi@gmail.com
ORCID: 0000-0003-0962-6221

ABSTRACT

Our goal is to study the circulation of various monies on the territory of the Kingdom of Kartl-Kakheti (henceforward, *the KKK*). The study material comprises both monetary and written primary sources, i.e. single coin finds as well as monetary hoards contemporary to the KKK and deposited on its territory, and narratives by foreign travellers as well as contemporary *Georgian* state and private documents. Two new, previously unpublished coin hoards are of particular significance; we provided general information on their composition. We studied monetary circulation in the KKK separately according to coin metal: gold, silver, and copper; reviewed both the corresponding monetary complexes and relevant written sources. It was established that the monetary stock within the KKK economy was not homogenous, but constituted a mixture of monies different in terms of *both* their material substance, i.e. the physical specifics of the coinage, *and* its varying economic functions. Considering the local traditions and realities, local market more or less rejected the credit / token coinage; the authorities found it difficult to force the population to accept at the very least the semi-credit copper coins of major denominations. The copper coinage had only auxilary role, mostly serving the petty trade; the authorities renovated it intermittently; consequently, the copper coinage played a very limited role and was hardly eligible for depositing. Major transactions were served by full-bodied silver and gold currencies with full intrinsic value. However, the gold and silver had different status. The KKK was a state with economy based on silver monometallism, whereas the (mostly imported) gold coins constituted mere commodity, without stable and legal value of single unit. Initially, the silver monometallism of the KKK was based on all kind of both local and imported silver coins; the monetary market was an open one. Later on, it was closed following and due to the monetary reform conducted by king Irakli II, when abundant new silver coinage – *sirma tetri* started inundating the market; the imported and antiquated silver coins lost their status of legal tender and also became a commodity.

Keywords: Kingdom of Kartl-Kakheti; monetary market; monetary circulation; silver monometallism; commodity money; token coinage;

[1] The research was carried out with the financial support of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia - grant YS-21-2879. "Monetary policy and history of the Kingdom of Kartl-Kakheti (1744-1801)"

[2] კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით - გრანტი YS-21-2879. „ქართლ-კახეთის სამეფოს (1744-1801) ფულადი პოლიტიკა და ისტორია“

ირაკლი ფაღავა,
ისტორიის დოქტორი, გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის
ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, გ. წერეთლის 4, საქართველო
5-77-425-426, mesefi@gmail.com
ORCID: 0000-0003-0962-6221

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანი - ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე სხვადასხვა საფასის მიმოქცევის კვლევაა. საკვლევ მასალას წარმოადგენს მონეტარული პირველწყაროები (ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი, სამეფოს არსებობის პერიოდში ტეზავრირებული ცალკეული მონეტები თუ, უპირატესად, სამონეტო კომპლექსები); და წერილობითი პირველწყაროები (უცხოელ დამკვირვებელთა ცნობები; ქართლ-კახეთის სამეფოს დროინდელი *ქართული* სახელმწიფო და კერძო საბუთები). მონეტარული პირველწყაროებიდან აღსანიშნავია ორი ახალი, აქამდე გამოუქვეყნებელი სამონეტო განძი; მოყვანილია ზოგადი ინფორმაცია მათი შემადგენლობის შესახებ. ფულადი მიმოქცევა ქართლ-კახეთის სამეფოში განხილულია სამონეტო ლითონებისდა მიხედვით, ცალ-ცალკე ოქროსთვის, ვერცხლისთვის, და სპილენძისთვის. პარალელურად განხილულია და შეჯერებულია ამა თუ იმ ლითონისგან დამზადებული მონეტების შემცველი, ცნობაში მოყვანილი სამონეტო კომპლექსები; ასევე, შესაბამისი ლითონის მონეტებზე ცნობების შემცველი წერილობითი პირველწყაროები. დადგინდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიკაში წარმოდგენილი ფულადი მასა არ იყო ერთგვაროვანი; იგულისხმება არა მარტო მისი მატერიალური სუბსტრატი - მონეტების ფიზიკური მახასიათებლები, არამედ ფულის სხვადასხვა სახეობათა განსხვავებული ბუნება, განსხვავებული ეკონომიკური ფუნქცია. რეგიონის ტრადიციებისა და რეალიებიდან გამომდინარე, ბაზრისთვის საკრედიტო ფული მეტ-ნაკლებად მიუღებელი აღმოჩნდა; ხელისუფლებას უჭირდა მოსახლეობისთვის დაეძალებინა თუნდაც ნახევრად-საკრედიტო სპილენძის მონეტების მსხვილი ნომინალების მიღება. სპილენძი მხოლოდ დამხმარე როლს თამაშობდა, მეტწილად წვრილ გარიგებებს ემსახურებოდა; ხელისუფლება აწარმოებდა სპილენძის ფულის პერიოდულ რენოვაციასაც; ეს ყოველივე აკნინებდა მის როლს და ხელს უშლიდა მის ტეზავრაციას. მსხვილ გარიგებებში მონაწილეობდა სრულფასოვანი, სრული შინაგანი ღირებულების მქონე ვერცხლისა და ოქროს საფასე. თუმცა, მათი სტატუსი განსხვავებული იყო. ქართლ-კახეთის სამეფო ვერცხლის მონომეტალიზმის ქვეყანას წარმოადგენდა, (მეტწილად იმპორტირებული) ოქროს მონეტა კი უფრო საქონელ-საფასეს წარმოადგენდა, რომელსაც არ ჰქონდა სტაბილური და დაკანონებული ღირებულება. ქართლ-კახეთის სამეფოს ვერცხლის მონომეტალიზმი ჯერ სხვადასხვა ტიპისა და წარმომავლობის, როგორც თბილურ, ასევე შემოტანილ ვერცხლის მონეტებზე იყო დაფუძნებული; სამონეტო ბაზარი ღია იყო. ირაკლი II-ის მიერ ჩატარებული რეფორმის სირმა ვერცხლის შემოღებისთანავე კი ის დაიხურა - იმპორტირებულმა ვერცხლის მონეტებმა დაკარგეს კანონიერი საფასის სტატუსი და საქონელ-ფულად იქცნენ.

საკვანძო სიტყვები: ქართლ-კახეთის სამეფო; სამონეტო ბაზარი; ფულადი მიმოქცევა; ვერცხლის მონომეტალიზმი; საქონელ-ფული; საკრედიტო საფასე;

შესავალი

ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოს (1744-1801) სრულიად გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოსა და ქართველი ერის ისტორიაში; ამ ქართული სახელმწიფოს

ფარგლებში ქვეყნის აღმოსავლეთი პროვინციები მაინც გაერთიანდა, რაც შეიძლება სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველოს ხელახლა გაერთიანების საწინდარიც გამხდარიყო. თუმცა, მოვლენები სხვანაირად წარიმართა. ქართლ-კახეთის სამეფოს აღზევება და დაცემა სამამულო ისტორიის ერთ-ერთ უმნიშნელოვანეს ტეხილს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამ ქართული სახელმწიფოს ისტორიის ყველა ასპექტი. განსაკუთრებულ მნიშვნელობას მივანიჭებდით ამ პერიოდის ქართლ-კახეთის სამეფოს *ეკონომიკას*, როგორც ზოგად, თუმცა საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროს გამსჭვალავ ჩარჩოს.

ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიკური ისტორიის კვლევის მხრივ კი განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევდით საფასეს, - როგორც ეკონომიკური ცხოვრების ძირითად საშუალებას, - და მის მიმოქცევას სახელმწიფოს შიგნით და სხვა პოლიტიკურ ერთეულებთან ურთიერთობაში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად სხვადასხვა თაობის მკვლევართა მიერ ცალკეული საკითხების კვლევისა (განსაკუთრებულად დაფასების ღირსია ნიკოლოზ ქოიავას შრომები), დღემდე არ გვქონდა შეძლებისდაგვარად ყოვლისმომცველი, ზოგადი ნაშრომი, რომელიც კონკრეტულად ქართლ-კახეთის სამეფოში ფულადი მიმოქცევისადმი იქნებოდა მიძღვნილი.

ჩვენი წინამდებარე ნაშრომის **მიზანი** სწორედ ეს არის - შევისწავლოთ ფულადი მომოქცევა XVIII საუკუნის II ნახევრის წამყვან ქართულ სახელმწიფოში, ქართლ-კახეთის სამეფოში.

მეთოდები

მეთოდოლოგიური მიდგომის კუთხით, უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე კვლევა ეფუძნება ქართლ-კახეთის სამეფოში ფულად მიმოქცევაზე ინფორმაციის შემცველი *პირველწყაროების* ანალიზსა და მიღებული შედეგების შეჯერებასა და მეტა-ანალიზს; ამრიგად, ვიყენებთ კვლევის კომპარატიულ მეთოდსაც.

შედეგები და მსჯელობა

აუცილებლად მიგვაჩნია შედარებით დაწვრილებით განვიხილოთ ჩვენი საკვლევი **მასალაც** - ხელმისაწვდომი პირველწყაროები; ისინი იყოფა ორ ძირითად ჯგუფად:

კლასიკური ***ნუმიზმატიკური***, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ანუ, მონეტარული, ვგულისხმობთ ცნობებს ერთი მხრივ ქართლ-კახეთის სამეფოში აღმოჩენილ ადგილობრივ თუ იმპორტირებულ მონეტებზე; მეორე მხრივ კი - ცნობებს ქართლ-კახეთის სამეფოში მოჭრილ და ადგილობრივად ან სხვა (მეზობელ) სახელმწიფოებში აღმოჩენილ, ანუ, ქართლ-კახეთის სამეფოდან ექსპორტირებულ მონეტებზე.

ქართლ-კახეთის სამეფოში აღმოჩენილი ადგილობრივი თუ იმპორტირებული მონეტები ადგილობრივ სამონეტო მიმოქცევას ასახავს; რაც შეეხება (მეზობელ) სახელმწიფოებში აღმოჩენილ მონეტებს, ისინი ასახავს ეკონომიკურ თუ სამხედრო-პოლიტიკურ, ყოველ შემთხვევაში, მონეტარულ კავშირებს ქართლ-კახეთის სამეფოსთან; ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ საუბარია სწორედ ქართლ-კახეთის სამეფოს და არა უცხო მონეტებზე, - უცხო მონეტების შემთხვევაში მათი იმპორტირება შეიძლება სხვა მიმართულებიდანაც მომხდარიყო; მაინცდამაინც ქართლ-კახეთის სამეფოდან მათ შემოტანაზე საუბარი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამაზე რაიმე სხვა დამატებითი მითითება იქნება (დავუშვათ, სამონეტო კომპლექსის სპეციფიკური შემადგენლობა).

აქვე აღვნიშნავთ, რომ *ქართლ-კახეთის სამეფოს* ფულადი მიმოქცევის ანალიზისთვის უპირველეს ყოვლისა გასათვალისწინებელია არა ცალკეული მონეტების, არამედ სამონეტო განძების / კომპლექსების აღმოჩენები:

ცალკეული მონეტების აღმოჩენის შემთხვევაში, პრაქტიკულად შეუძლებელია (თუ არ გვაქვს რაიმე არქეოლოგიური მინიშნება) მათი *ქრონოლოგიური* ატრიბუცია; თუ საუბარია უცხო მონეტებზე (ბუნებრივია, ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის თანადროულად ან წინარე პერიოდში გამოშვებულზე), მათი შემოტანა ქართლ-კახეთსა თუ მეზობელ სახელმწიფოებში თეორიულად შეიძლება 1801 წლის ანექსიის შემდგომ მომხდარიყო; ან, პირიქით, ადგილობრივ მათი შემოტანა და გასვლა ფულადი მიმოქცევიდან (ამ შემთხვევაში, ტეზავრაცია) შეიძლება ჯერ კიდევ 1744 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს გაერთიანება-დაარსებამდე მომხდარიყო; ორივე შემთხვევაში უშუალო კავშირი ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორიასთან ამ მონეტებს აღარ ექნებათ.

განსხვავებით ცალკეული აღმოჩენებისგან, სამონეტო (თუ შერეული, მონეტარულ-ნივთიანი) კომპლექსები ბევრად უკეთესად, და საკმაოდ ზუსტადაც ექვემდებარება ქრონოლოგიურ ატრიბუციას, - სამონეტო კომპლექსის შემადგენლობის ანალიზი ჩვეულებრივ იძლევა საშუალებას ის საკმაო, ზოგჯერ დეკადისა, თუ, საერთოდ დეკადის ნახევრის სიზუსტით დავათარიღოთ (ყველაზე ახალგაზრდა მონეტისა და კომპლექსში რაღაც თარიღისა თუ მოვლენის შემდგომ გამოჩენილ-გახშირებული მონეტების არარსებობის მიხედვით). ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის პერიოდში (1744-1801 წლები) ტეზავრირებული განძები, ბუნებრივია, ამ ქართული სახელმწიფოს ფულად მიმოქცევას ასახავს და წარმოადგენს. გარკვეული ყურადღების ღირსია ასევე ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მიერ 1801 წელს ანექსიის შემდგომ პერიოდში ადგილობრივად (უწინდელი ქართლ-კახეთის სამეფოსა თუ მეზობელი, ქართული სამეფო-სამთავროებისა თუ მუსლიმური სახანოების ტერიტორიაზე) ტეზავრირებული სამონეტო კომპლექსებიც. მათ შემადგენლობაში არცთუ უმნიშვნელო ადგილი უკავია (განსაკუთრებით უწინდელი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე ტეზავრირებულ განძებში) ქართ-კახეთის სამეფოს მონეტებს; ეს კი გვაფიქრებს რომ მათი ფორმირებაც 1801 წლამდე თუ არ დაიწყო, ყოველ შემთხვევაში, 1801 წლამდე ეკონომიკური სიტუაციისა და ფულადი ბაზრის ანარეკლს მაინც წარმოადგენს; ამრიგად, აუცილებელია ამ შედარებით გვიანდელ განძთა გათვალისწინებაც (ფაღავა, 2023: 223-271).

ქართლ-კახეთის სამეფოსა და მეზობელ პოლიტიკურ ერთეულთა ტერიტორიაზე მონეტების აღმოჩენები საკმაოდ კარგად და საკმაო სისრულით არის აღრიცხული, გამოქვეყნებული და, ნაწილობრივ, გაანალიზებულიც კი. ათწლეულების განმავლობაში ამ ძალიან შრომატევადი საქმიანობას წარმატებულად წარმართავდა ქართული და, საზოგადოდ, კავკასიური ნუმიზმატიკის კორიფე, ევგენი პახომოვი. მისი სიკვდილის შემდგომ ქართლ-კახეთის სამეფოში სამონეტო მიმოქცევის თემაზე რამდენიმე უკიდურესად საინტერესო ნაშრომი რევაზ ქებულაძესა აქვს გამოქვეყნებული. ბოლოდროინდელი სამონეტო აღმოჩენების პუბლიკაცია-ანალიზს საკმაო დროს უთმობდა ირაკლი ფაღავა. ჩვენი წინამდებარე ანალიზი სწორედ მათ მიერ შეგროვებულ ინფორმაციას, ისევე როგორც ახალ აღმოჩენებს ეყრდნობა.

გარდა ცალკეული მონეტებისა თუ სამონეტო კომპლექსების აღმოჩენის შემთხვევებისა, ბუნებრივია, არსებითი მნიშვნელობა აქვს ასევე ცნობებს თავად ქართლ-კახეთის სამეფოში მონეტების მოჭრის შესახებ; იშვიათი გამონაკლისების გარდა, ადგილობრივად გამოშვებული საკუთარი საფასე უპირველეს ყოვლისა ადგილობრივადვე მიმოიქცეოდა კიდევაც და ადგილობრივ ფულად ბაზარზე უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა; ფაქტობრივად, მას წარმოადგენდა კიდევაც. ქართლ-კახეთის სამეფოს მონეტების ტიპოლოგია და ემისიის ხანგრძლივობა საკმაოდ ზუსტად და სრულად არის დადგენილი (Пахомов, 1979: 156-269; ფაღავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, 2014: 200-272; ფაღავა, 2023: 141-155); ამ კუთხით შემდგომი კვლევისთვის მყარი ფუნდამენტია შემზადებული.

წერილობითი, რომელიც თავის მხრივ იყოფა ორად: ნარატიული პირველწყაროები (უცხო მოგზაურთა და აგენტთა, თუ სამამულო ავტორთა დაკვირვებები) და დოკუმენტური

(კერძო თუ სახელმწიფო ხასიათის საბუთები, რომელიც შეიცავს ცნობებს ქართლ-კახეთის სამეფოში საფასის ტრიალზე).

ნარატიული წყაროებიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროპელ მოგზაურთა და ქართლ-კახეთის სამეფოში მივლენილ რუს მოხელეთა მიერ შემონახულ ცნობებს.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ზემოთ განხილული პირველწყაროების საფუძველზე ქართლ-კახეთის სამეფოში ფულადი მიმოქცევის სურათის გარკვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება შესაძლებელი, თუკი ცალკეულ ფაქტებს ერთმანეთს შევაჯერებთ და ერთიან სისტემაში მოვიყვანთ. ამ მხრივ, პირველ რიგში, აუცილებელია განძებისა და მათი შემადგენლობის მეტა-ანალიზი; მიღებული შედეგების წერილობითი წყაროების ცნობებთან შეპირისპირება. ამრიგად, აუცილებელია კომპარატიული ანალიზი.

ქვემოთ მოგვყავს ქართლ-კახეთის სამეფოში ფულადი მიმოქცევის შესახებ პირველწყაროების მიერ შემონახული ცნობები; ჩამოვაყალიბებთ ამ ცნობების ანალიზის შედეგებსაც.

ქართლ-კახეთის სამეფოში, ისევე როგორც რეგიონში, სხვადასხვა სახის საფასე ეკონომიკაში საკმაოდ განსხვავებულ როლს ასრულებდა. ამ საკითხს ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით, *განხილვაში*, ახლა კი შემოვიფარგლებით მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ მოსახერხებელი და ლოგიკურია, ცნობები ქართლ-კახეთის სამეფოში ფულადი მიმოქცევის შესახებ გავაანალიზოთ დანაწევრებულად; მათი შეჯერება მოხდება მოგვიანებით, *განხილვაში.*

ჩამოვაყალიბოთ პირველწყაროების შესწავლის შედეგები.

პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ პირველწყაროების შესწავლამ აჩვენა - ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიკა არ იცნობდა ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორც აქციები თუ ობლიგაციები. ნიკოლოზ ქოიავას, რომელმაც შეისწავლა კრედიტის სისტემა ქართლ-კახეთის სამეფოში, კარგად აქვს ნაჩვენები მისი შედარებითი განუვითარებლობა. იმდენად, რამდენადაც ეს ეხება სახელმწიფოს, ირაკლი II-მ ერთხელაც ვერ მოახერხა საგარეო სესხის მიღება, შიდა სესხი კი დაიყვანებოდა მონარქის (ირაკლი II-ისა თუ გიორგი XII-ის) მიერ ფულის ამა თუ მდიდარი *ქვეშევრდომისგან* „სესხებამდე“ (მსესხებლის სტატუსიდან გამომდინარე, *სესხება* შეიძლება მთლად ნებაყოფლობითი არც ყოფილიყო). საბანკო სისტემაც სახელმწიფოში საერთოდ არ არსებობდა; არსებული ამხანაგობებიც, ჩანს, ძალიან შორს იყვნენ დამატებითი კაპიტალის მოსაზიდად აქციების გამოშვებისაგან.

ფულის იქნებ ერთადერთი დერივატი, რომელსაც იცნობდა ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიკა, ეს იყო ფულად ურთიერთობათა მოგვარების ისეთი ინსტრუმენტი, როგორიცაა თამასუქი. თანადროულ საბუთებში თამასუქები საკმაოდ ხშირად მოიხსენიებიან. გასარკვევია, რამდენად წარმოებდა თამასუქის გადაცემა, ანუ, მოვალის თამასუქით გაფორმებული ვალდებულებების გასხვისება-გადაცემა (კრედიტორისგან) მესამე პირზე. თუკი მომავალი კვლევა-ძიებით ამგვარი საბუთი აღმოჩნდება, შეგვეძლება დავასკვნათ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში თამასუქი ზოგიერთ შემთხვევაში მაინც *ფასიანი ქაღალდის*, ფაქტიურად, *საფასის* როლს ასრულებდა.

ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიკა არ იცნობდა, ან, ყოველ შემთხვევაში, არ ჰგუობდა ქაღალდის ფულსაც. ქართლ-კახეთის სამეფოსთან, საზოგადოდ, საქართველოსთან გამეზობლებული სახელმწიფოებიდან ქაღალდის ფულს უშვებდნენ რუსეთის იმპერიაში. გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ ქაღალდის ფულის ცნება არც ირაკლი II-ისა და გიორგი XII-ისთვის იქნებოდა უცნობი, თუმცა, საკუთარი ქაღალდის ფული გამოშვება, თუნდაც ფინანსური სირთულეების და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რამდენადაც შემორჩენილ პირველწყაროებში ამგვარი ცნობის არარსებობით შეიძლება ვიმსჯელოთ, მათ არც კი უცდიათ. მიზეზი ცხადია: საკმაოდ არქაული, და, ამასთანავე, შეზღუდული სამონეტო ბაზარი, რომელიც მსხვილი ნომინალის ტრადიციული იერის სპილენძის ნახევრად-საკრედიტო ფულსაც კი (დიდი გაჭირვებით, ან)

არ იღებდა (Paghava, 2017: 250), ქაღალდის ფულს მით უფრო არ მიიღებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს რეპრესიული პოტენციალი, საკუთარი მოსახლეობისთვის უკიდურესად საკრედიტო საფასის გამოყენება დაეძალებინა, მაინც შეზღუდული იყო. ამ მხრივ მეტად საინტერესოა, რომ ქართლისა და კახეთის მოსახლეობისთვისა და ბაზრისთვის ქაღალდის ფულის თავს მოხვევა (XIX საუკუნის I დეკადაში მაინც) ვერ მოახერხა არათუ ქართლ-კახეთის სამეფომ, არამედ შეუდარებლად უფრო ძლიერი და მწყობრი სახელმწიფო ძალადობის აპარატის მქონე რუსეთის იმპერიამაც კი, - კარგად არის ცნობილი, რომ 1800-იან წლებში რუსული ჯარისა და მოხელეების ხარჯის გაღება რუსულ სახელმწიფოს (ძვირფასი) ლითონის ფულით უხდებოდა, კერძოდ, ჰოლანდიური დუკატებით (фон Винклер, 1898: 288-289, 294-295).

ქართ-კახეთის სამეფოს მოსახლეობა, ხელისუფლება და, საზოგადოდ, ეკონომიკა ფაქტიურად ექსკლუზიურად ლითონის საფასით საზრდოობდა. პირველწყაროების შესწავლის შედეგად იკვეთება შემდეგი სურათი:

ოქრო

ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე და მისი არსებობის პერიოდში ადგილობრივად ფულადი მიმოქცევის ამსახველი *ოქროს მონეტების (შემცველი) განძები* დღემდე არ აღმოჩენილა. უფრო მეტიც, არ ვიცნობთ ცალკეუული ოქროს მონეტის აღმოჩენის ერთი შემთხვევაც კი, რომლის ტეზავრაციაც შეიძლება ქრონოლოგიურად დანამდვილებით ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის პერიოდს მივუსადაგოთ.

შესაბამისად, ქართლ-კახეთის სამეფოში ოქროს საფასის მიმოქცევაზე მსჯელობისას იძულებულნი ვართ დავეყრდნოთ ექსკლუზიურად ნარატიულ და დოკუმენტურ, წერილობით წყაროებს.

თეიმურაზ ბაგრატიონი ხაზს უსვამდა ჰოლანდიური ოქროს მონეტების (დუკატების) პოპულარობასა და გავრცელებულობას:

„ოქრო ჩვენში სრულად გოლანდიისა მუშაობდა, ვენეტიკისაცა და ოსმალისაცა უფრო ცოტა (მაგრამ ოსმალის ოქრო წმინდა არ არის და ამისთვის არ უყვარდათ ქართველებსა).“ (ბაგრატიონი, 1964: 42)

უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალური ოქროს მონეტა შეიძლება ისეთი პოპულარული არც ყოფილიყო, მაგრამ მაინც მიმოიქცეოდა. ოსმალურის ოქროს საფასე ხშირად ჩანს გვიანდელი პერიოდის საბუთებში, თანაც, არცთუ მცირე რაოდენობით. ასე, მაგალითად, ახტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის წიგნში (1790) მოიხსენიება 2 „ძველი სტანბოლის ოქრო“ (ბერძენიშვილი, 1955: 97); 1798 წლის საბუთში კი (მდივან-ნაზირის სვიმონის ანგარიშის გასწორების წიგნი) გვხდება 191 „ახალი სტანბოლის ოქრო“ (ბერძენიშვილი, 1955: 123, საბუთი 82).

გვხდება ასევე ეგვიპტის, ნომინალურად ოსმალური, de facto კი მამლუქთა საფასეც - *მისირის ოქრო.* 1798 წლის საბუთში მოხსენიებულია 6 ასეთი მონეტა (ბერძენიშვილი, 1955: 113, საბუთი 81). 1799 წლის საბუთში 26 „ბაჯაღის ოქროსთან“ ერთად (იხ. ქვემოთ) მოხსენიებულია ასევე 28 *მისირის ოქროს მონეტის* გამოყენებით დამზადებული *სამკაულიც*, კერძოდ, გულსაბამი (კიდევ ერთ მონათესავე საბუთში, როგორც ჩანს, იმავე მონეტებს - რაოდენობა ემთხვევა - უკვე „სტანბოლის ფლური“ ეწოდება) (ბერძენიშვილი, 1955: 299, საბუთი 201).

გარდა ოსმალურისა, ქართლ-კახეთის სამეფოში, თუმცა, საფიქრებელია, შეზღუდულად, ირანული ოქროს საფასეც ბრუნავდა. 1779 წელს შედგენილ, ლეონ ბატონიშვილის ხარჯის ნუსხაში გვხვდება 4 „ხუის ოქრო“ (უნდა იგულისხმებოდეს ქ. ხოიში მოჭრილი მონეტები (ბერძენიშვილი, 1938: 67, საბუთი 335). ხოლო ანგარიშის წიგნში,

რომელიც, ვარაუდით, XVIII საუკუნის დასასრულით თარიღდება, მოხსენიებულია 2 თუმნის ღირებულების „ყიზლიბაშური ფლურები“ (ბერძენიშვილი, 1955: 322, საბუთი 215).

თეიმურაზ ბატონიშვილს არა აქვს დასახელებული, მაგრამ ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის იმპერიის ოქროს საფასეც ტრიალებდა; საუბარია მსხვილწონიან (ძვირფასი ლითონის შემადგენლობა 12 გ) ოქროს მონეტაზე, იმპერიალებზე. მათ მიმოქცევას (1770-იან წლებში მაინც) ადასტურებს გიულდენშტედტი (გიულდენშტედტი, 1962: 236-237). გვაქვს დოკუმენტური დადასტურებაც. 1798 წლით დათარიღებულ ხარჯის ნუსხაში მოიხსენიება „ხარჯებათ მობარებული“ 14 „ენპერალია“ (ბერძენიშვილი, 1955: 112, საბუთი 81).

ქართლ-კახეთის სამეფოში, ბუნებრივია, ევროპული ოქროს საფასეც შემოდიოდა და მნიშვნელოვან ეკონომიკურ როლსაც ასრულებდა.

ასე, მაგალითად, საბუთებში ჩანს ვენეციური ოქროს დუკატი, ე.წ. ცეხინი, (თურქული წარმოშობის) ქართული ტერმინოლოგიით - *იალდუზი* (*იალდუზის ფლური*). ხშირია მისი მოხსენიება ახტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის წიგნში (1790) (ბერძენიშვილი, 1955: 87, 92-93, 95-97, 99-100).

საბუთებით ქართლ-კახეთის სამეფოში მაინც უპირატესად ჰოლანდიური, უფრო სწორედ კი ნიდერლანდული ოქროს დუკატის, ე.წ. ბაჯაღლის მიმოქცევა დასტურდება. ტერმინი *ბაჯაღლი* ჩვენში ოსმალური თურქულიდან შემოვიდა; „ბაჯაქ“ (bacak) ფეხს ნიშნავდა, ხოლო თვისების აღმნიშვნელი სუფიქს „ლი“-ს (-ly) დამატებით მიღებულ იქნა სიტყვა *ბაჯაქლი*, ფონეტიკური გარდაქმნით - *ბაჯაღლი*, რაც, სიტყვა-სიტყვით, *ფეხიანს*, გადატანითი მნიშვნელობით *აყლაყუდას* ნიშნავდა. ამ ტერმინით აღნიშნავდნენ ჰოლანდიურ დუკატებს, რომლებზედაც ტრადიციულად გამოისახებოდა მართლაც საკმაოდ გრძელფეხება რაინდი მოტკეცილი შარვლით (ელერდაშვილი, 2022). აღსანიშნავია, როთ შემდგომი ფონეტიკური გარდაქმნის წყალობით, დღეისთვის გამოითქმის *ბაჯაღლო*, მაგრამ XVIII საუკუნის საბუთებში გვაქვს *ბაჯაღლი*.

საბუთებში *ბაჯაღლიები* ზოგჯერ ცალკე, ზოგჯერაც სხვა ტიპის ოქროს მონეტასთან ერთად მოიხსენიება.

ასე, მაგალითად, მანუჩარ მდივნისა და თარხან-აღას შვილის დავითას ანგარიშის წიგნში ბაჯაღლის ოქრო გვხდება „იალღუზის [sic] ოქროსთან“ ერთად (ბერძენიშვილი, 1955: 324-325, საბუთი 218); 1795 წლის 18 აპრილით დათარიღებულ ბატონ სტეფან-აღას ანგარიშის წიგნში ხშირად მოიხსენიება როგორც „ბაჯაღლის ოქრო“, ასევე „მოპრის ოქროც“ (ამ ტერმინით რა მონეტა აღინიშნებოდა, ამ ეტაპზე ჩვენთვის გაუგებარია) (ბერძენიშვილი, 1955: 254-255, საბუთი 179). დაახლოებით იმავე, 1795 წელს შედგენილ ანგარიშის წიგნში მანუჩარ მდივნისა და მისი სიმამრის, აღა-სტეფანეს ანგარიშის წიგნში ერთად მოიხსენიება როგორც ბაჯაღლის *ოქრო*, ასევე *ვერცხლის* საფასეც - ჩანს, სირმა თეთრი, და ოსმალური ალთმიშლუღებიც (მათ შესახებ იხ. ქვემოთ) (ბერძენიშვილი, 1955: 261, საბუთი 182). სხვადასხვა სახის ოქროს მონეტები აქვს გადანახული ანტონ კათალიკოსსაც (1793 წლის ანდერძი) (ბაგრატიონი, 1890: 11, **13**-14). ძალიან საინტერესოა 1798 წლის 11 იანვრით დათარიღებული ირაკლი II-ის ქონების ნუსხაც (ბერძენიშვილი, 1955: 277-278, საბუთი 188). 1798 წელს დოკუმენტის მიხედვით, გარდაცვლილი მონარქის „საიმტვერიოდ და სხვა ხარჯათ“ საბუთის შემდგენელს გადაეცა 200 ბაჯაღლი (ბერძენიშვილი, 1, გვ. 155, #3532). გიორგი XII-ის მიერ 1799 წელს მიცემულ „თამასუქში“, რომელშიც მონარქი ადასტურებს, რომ ქვეშევრდომისგან (იოანე ბეგთაბეგისშვილისგან) „ნასესხები“ აქვს 1,250 ბაჯაღლის ოქრო და 3,000 ალთმიშლუღი (ბერძენიშვილი, 1953: 139, საბუთი 191). 50 ბაჯაღლის ოქროს მონეტა მოიხსენიება ძმები მანუჩარ და სულხან თუმანის-შვილების 1799 წელს დაწერილ გირაოების ნუსხაშიც (ბერძენიშვილი, 1953: 146, საბუთი 198). 1800 წლის 31 მაისის საბუთის მიხედვით, (ალავერდის?) სპილენძს ყიდიან სწორედ ნიდერლანდულ დუკატებზე (ბერძენიშვილი, 1955: 134, საბუთი 90). ქართლ-კახეთის სამეფოში რუსული საოკუპაციო

ჯარის სარდალიც 1801 წელს (ჯერ კიდევ ანექსიამდე) ხარჯებს ნიდერლანდული დუკატებით ისტუმრებს (ბერძენიშვილი, 1955: 139, საბუთი 97).

სხვადასხვა ტიპის ოქროს მონეტის ხვედრითი წონის შესაფასებლად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია წერილობითი წყაროების მიერ შემონახული ცნობების, ფაქტობრივად, წერილობითი წყაროების მიერ დაფიქსირებული სამონეტო კომპლექსების მეტა-ანალიზიც. მეთოდოლოგიურად შეიძლება გამართლებული იყოს იმ წერილობითი ცნობების უგულებელყოფა, სადაც სულ რამდენიმე ოქროს მონეტაა მოხსენიებული, ვინაიდან ამ შემთხვევაში დიდია მსჯელობაში შემთხვევითობის შეცდომის შემოპარვა. უფრო სანდოდ გვეჩვენება ვიხელმძღვანელოთ იმ დოკუმენტებით, სადაც რამდენიმე ათეული, და ზოგჯერ ასეული მონეტაა მოხსენიებული; ამგვარი საბუთები: 1) უფრო ზუსტად გვიჩვენებს ამა თუ იმ ტიპის ოქროს საფასის ხვედრით წილს სახელმწიფოს ეკონომიკაში; 2) ყოველ შემთხვევაში, მიუთითებს, თუ რა ტიპის ოქროს საფასე წარმოადგენდა *დაგროვების* ძირითად საშუალებას. ამგვარი ცნობების შემცველი და ჩვენთვის ხელმისაწვდომი საბუთები თარიღდება ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელი ათწლეულით; 1790-იანი წლებით 1801 წლის ჩათვლით. ერთი მხრივ, რთული სათქმელია, რამდენად სწორი იქნებოდა მათი შესწავლით მიღებული დასკვნების ექსტრაპოლირება 1744-1790 წლების პერიოდზე, განსაკუთრებით კი 1740-იან - 1760-იან წლებზე. მეორე მხრივ კი, შედარებით ვიწრო პერიოდში დაწერილი საბუთების მეტა-ანალიზის შედეგების სარწმუნოობა, გარკვეული ალბათობით, მატულობს.

შევისწავლეთ შვიდი საბუთი. მათ შორის ოთხი ქართლ-კახეთის სამეფოს მმართველი დინასტიის (მეფე ირაკლი II-ის, გიორგი XII-ის, დავით ბატონიშვილისა და ანტონ კათალიკოსის) საქმიანობას ასახავს; ერთი სახელმწიფოს / მეფის განკარგულებაში მყოფი სპილენძის გაყიდვას ეხება; ორიც კომერციულ გარიგებებში აქტიურად ჩართულ, დაწინაურებულ პირთა სახელებს უკავშირდება. ამ შვიდი დოკუმენტის ცნობები წარმოდგენილი გვაქვს (დაწვრილებით) ცხრილის, და, დაჯგუფებულად, დიაგრამების სახით (ცხრილი 1; დიაგრამები 1-2).

თვალნათლივ ჩანს, რომ სამონეტო მიმოქცევაში წამყვან როლს მართლაც, როგორც ამას თეიმურაზ ბატონიშვილი მიუთითებდა, ევროპული ოქროს საფასე თამაშობს, კერძოდ კი, ნიდერლანდების ოქროს დუკატები. მათი ხვედრითი წილი ძალიან მაღალია; სამ შემთხვევაში 100%-საც კი შეადგენს; ანტონ-კათალიკოსის ანდერძშიც მათზე მოდის ოქროს მონეტების საერთო რაოდენობის 88.6%; და მხოლოდ ირაკლი II-ის პირადი ნივთების ნუსხაში მათი ხვედრითი წილი შესამჩნევად უფრო ნაკლებია, თუმცა მაინც აღემატება ნახევარს (50.5%) - შესაძლოა, მიზეზი ყოფილიყოს ის გარემოება, რომ ირაკლი II-ის ნივთებში აღრიცხული 867 მონეტა არა მარტო მონარქის, ასე ვთქვათ, ფინანსური რეზერვია, არამედ, ჩანს, ერთგვარ კოლექციასაც წარმოადგენს (ჯავახიშვილი, 2011: 299-306). სამწუხაროდ, ვერ ვარკვევთ, ამ ეტაპზე მაინც, თუ რას გულისხმობს ტერმინები „რაშის ოქრო“ და „მოპრის(?) ოქრო“; არადა, ამგვარი მონეტების ხვედრითი წილი საკმაოდ საგულისხმოა - 13.8 და 20.4%; ორივე საკმაოდ გავრცელებული საფასე უნდა იყოს.

ამგვარად, დოკუმენტური ხასიათის პირველწყაროებით სავსებით დასტურდება თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ფულად ბაზარზე წამყვან ოქროს საფასეს სწორედ ევროპული, ნიდერლანდული ოქროს დუკატები წარმოადგენდა, ე.წ. ბაჯაღლიები (ბაჯაღლოები).

აღსანიშნავია, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში მოჭრილი საკუთარი ოქროს საფასე, როგორც რეფორმამდელი ოქროები, ასევე სირმა ოქროს შაურები (ფაღავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, 2014: 200-272), სახელმწიფოსა და, მით უფრო, რეგიონის ეკონომიკაში მეტად მოკრძალებულ როლს თამაშობდა. ამის მიზეზები მითითებულ ნაშრომშია განხილული (ფაღავა, ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა, 2014: 229-254) და აქ ამ საკითხს არ შევეხებით.

ვერცხლი

უკვე დადგენილია, რომ ქართლ-კახეთის სამეფო (როგორც, საზოგადოდ, კავკასია თუ აღმოსავლეთ კავკასია-ირანის რეგიონი) ვერცხლის მონომეტალიზმის მხარეს წარმოადგენდა (ქოიავა, 1946: 76-78; ქოიავა, 1963: 11-12). ამიტომ, ამ საკითხს ამჟამად აღარ განვიხილავთ, უბრალოდ დავაზუსტებთ, თუ რა ტიპის (ვერცხლის) საფასე წარმოადგენდა ამ მონომეტალისტური ეკონომიკის მატერიალურ სუბსტრატს.

2023 წლის მონოგრაფიაში ირაკლი ფაღავამ შეაჯამა ცნობები ქართლ-კახეთის სამეფოში სირმა თეთრის მიმოქცევის შესახებ; კერძოდ, შეისწავლა და მეტა-ანალიზს დაუქვემდებარა სირმა მონეტების შემცველი 27 სამონეტო კომპლექსი, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე 1801 წლამდე იყო ტეზავრირებული და, შესაბამისად, ასახავს ამ ქართული სახელმწიფოს სამონეტო ბაზარსა და ფულად მიმოქცევას რუსულ ანექსიამდე. დადგინდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის ბოლო ათწლეულებში სახელმწიფოს ეკონომიკა ეფუძნებოდა უნიკალურ, ადგილობრივ ვერცხლის საფასეს - სირმა თეთრს (ფაღავა, 2023: 223-270).

თუმცა, უპრიანია მოვიყვანოთ და განვიხილოთ დამატებითი ცნობებიც, მათ შორის ქართლ-კახეთის სამეფოში ფულადი მიმოქცევის ამსახველი კიდევ ორი განძის შესახებ. ისინი უკიდურესად მნიშნელოვანია, ვინაიდან გვაძლევს წარმოდგენას ქართლ-კახეთის სამეფოს ფულად მიმოქცევაზე ირაკლი II-ის რეფორმამდე (რეფორმის შესახებ იხ. ქოიავა, 1946: 88-89; ფაღავა, 2021), ანუ, 1744-1765 წლების პერიოდში. მართალია, გაურკვეველ გარემოებებსა და ადგილას (თუმცა, დანამდვილებით, უწინდელი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე) აღმოჩენილი ეს განძები დაიშალა და მათი სრულფასოვანი ფიქსაციაც ვერ მოვახერხეთ, თუმცა, მათი ზოგადი შემადგენლობა მეტ-ნაკლები სისრულით მაინც ჩავინიშნეთ.

I. 2020-2021 წლების ზამთარში ნაპოვნი განძიდან ჩვენთვის ცნობილი გახდა 9 ეგზემპლარი, ცხრავე სხვადასხვა ავშარიანი მონარქის სახელით მოჭრილი, სხვადასხვა ზარაფხანაში, შემდეგი თარიღებით: ჰ. 1150 (1737/8), 1157 (1744/5), 1161-1162 (1748-1749), 1169 (1755/6). ტეზავრაციის სავარაუდო დრო - 1750-იანი წლების დასასრული, ან 1760-იანი წლების დასაწყისი;

II. 2019 წლის გაზაფხულზე (?) აღმოჩენილი სამონეტო კომპლექსი შეიცავდა რამდენიმე ასეულ მონეტას (ზუსტი ციფრი უცნობია), სეფიანური, ოსმალური, ავშარული და დიდ მოღოლთა მონეტების ჩათვლით; ყველაზე ახალგაზრდა მონეტები ჰ. 1160-იანი წლებით თარიღდებოდა (1747-1756); ამრიგად, ამ შემთხვევაშიც ტეზავრაციის სავარაუდო დრო არის 1750-იანი წლების დასასრული, ან 1760-იანი წლების დასაწყისი. დიდ მოღოლთა ვერხლის რუფიების შემცველობით, ეს განძი ჯერჯერობით უნიკალურია საქართველოსთვის; თუმცა კი ამ საფასის არსებობა კავკასიის ტერიტორიაზე, ქართლ-კახეთის სამეფოს ფარგლებს გარეთ აღმოჩენილ განძებში ჩვეულებრივი ამბავია (Пахомов, 1926: 33; ფაღავა, 2010: 397-400, 403-404). ეს მონეტები კავკასიაში ნადირ შაჰის მიერ ინდოეთის სუბკონტინენტის დალაშქვრისას მოპოვებული ნადავლის სახით მოხვდებოდა (ფაღავა, 2010: 403).

გარდა სამონეტო (სამონეტო კომპლექსების) აღმოჩენების მეტ-ანალიზისა, აუცილებელია ნარატიულ-დოკუმენტური წერილობითი წყაროების განხილვაც. ამ ორი სხვადასხვა ტიპის პირველწყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის შეჯერებას ზოგჯერ საკმაოდ მოულოდნელ შედეგებამდე მივყავართ.

სამონეტო აღმოჩენებით წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტური წყაროების მიერ შემონახული ცნობების შეუსაბამობის საინტერესო მაგალითია ქართლ-კახეთის სამეფოში ოსმალური საფასის, კერძოდ, დიდწონიანი ალთმიშლუღებისა (60-ფარიანი მონეტა) და ყურუშების (40-ფარიანი მონეტა) მიმოქცევის საკითხი.

ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე დღეისთვის მხოლოდ ყურუშების (მაგრამ არა ალთმიშლუღების) აღმოჩენის რამდენიმე შემთხვევაა დადასტურებული (ანთაძე, 1982: 78, #18, 81, #41, 121, #4, 130-131). სამაგიეროდ, თანადროულ საბუთებში ეს მონეტა საკმაოდ ხშირად გხვდება. ბუნებრივია ოსმალური ტიპის საფასის მიმოქცევა ქართლში (კახეთშიც) ოსმალური ოკუპაციის პერიოდში (1723-1735) (ბერძენიშვილი, 1953: 32, საბუთი 43; 34, საბუთი 49), მაგრამ, საბუთები ადასტურებს, რომ ოსმალური ვერცხლის საფასე არსებით როლს თამაშობს უფრო გვიანაც, უკვე გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიკაშიც. ზემოთ უკვე ციტირებულ, გიორგი XII-ის მიერ მიცემულ „თამასუქში“ აღნიშნულია, რომ მეფეს ბეგთაბეგისშვილისთვის 1,250 ოქროს დუკატის გარდა *3,000 ალთმიშლუღიც* გამოურთმევია. 1782 წლის მანუჩარ მდივნისა და მიღდისის-შვილი სტეფანას გარიგების წიგნში მოიხსენიება 50 ალთმიშლუღი (ბერძენიშვილი, 1955: 187, საბუთი 147). ბუნებრივია, რომ ალთმიშლუღებს იყენებდნენ ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომებთან გარიგებებში. ასე, მანუჩარ თუმანიშვილისა და ახალციხელი ღუგაზას ანგარიშის (შინაარსით) 1787-1788 წლების ახლო პერიოდით დათარიღებულ წიგნებში ხშირად საუბარია „თეთრზე“, რომელშიც სირმა თეთრი უნდა ვიგულისხმოთ; მაგრამ ალაგ-ალაგ ასევე ყურუშები და ალთმიშლუღებიც მოიხსენიება (ბერძენიშვილი, 1953: 77-78, საბუთი 116, 82-84, საბუთი 121). 1794 წელს, კერძოდ, 2 მაისს, მანუჩარ გორჯასპოვ (თუმანიშვილის) მიერ ენუქას-შვილი მერაბ-აღასადმი მისი ძმის ვალის დაბრუნების თაობაზე დიდი მოწიწებით მიწერილ წერილში საუბარია 500-600 ალთმიშლუღზე. კონტექსტიდან ირკვევა, რომ მერაბ-აღა უცხოეთში იმყოფება, „ხუის“ (ხოიში), მანუჩარი კი ცდილობს მისგან გასესხებული თანხის უკან დაბრუნებას. საინტერესოა, რომ საბუთში მინიშნებაა „აქ“, ანუ, საფიქრებელია თბილისში / საზოგადოდ, ქართლ-კახეთის სამეფოში ალთმიშლუღის კურსის მერყეობაზე, რაც, თავის მხრივ, ჩანს, ამ ოსმალური მონეტის ადგილობრივ (დაკანონებულ ქართულ) საფასეზე გადაცვლის საჭიროებასაც გულისხმობს (ბერძენიშვილი, 1953: 108-109, საბუთი 163). კრედიტორის მიერ გაცემული სესხის ანგარიშის ნუსხაში, რომელიც 1795 წლის ახლო ხანებით თარიღდება, ვალის ნაწილ-ნაწილ გასტუმრების დეტალები გადმოცემული; ზოგჯერ უბრალოდ (ნაღდი ფულითა თუ ქონების სახით) დაბრუნებული თანხის ოდენობაა მითითებული (გადაანგარიშებული ვერცხლის საფასეზე), მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ისიც კი არის მითითებული, სესხის ნაწილი თუ რა *მონეტით* დაბრუნდა. აბაზთან და *ალთუნთან* ერთად, მოხსენიებულია ალთმიშლუღიც (ბერძენიშვილი, 1953: 117-118, საბუთი 178). ალთმიშლუღი მოიხსენიება ასევე 1798 წლის 6 ივნისით დათარიღებულ, მსაჯულთა კრებულის გიორგი ციცის-შვილის მოვალეების საქმეზე განაჩენის წიგნში (ბერძენიშილი, 1953: 121-122, საბუთი 185). ალთმიშლუღი ჩანს მანუჩარ და სულხან თუმანის-შვილების ვალების ნუსხაშიც (1799 წელი) (ბერძენიშვილი, 1953: 144, საბუთი 197), ასევე მათ იმავე წელს დაწერილ გირაოების ნუსხაშიც (ბერძენიშვილი, 1953: 146, საბუთი 198). (პალეოგრაფიულად) უკვე XIX საუკუნის დასაწყისის (?) სულხან მდივნის თეთრის ნუსხაში ალთმიშლუღების ძალიან დიდი რაოდენობა არის მითითებული - 1,160 (ბერძენიშვილი, 1955: 350-351, საბუთი 248).

ოსმალეთის გარდა, მიმოქცევაშია ასევე რუსეთის იმპერიის ვერცხლის საფასეც. 1788 წლის ახლო პერიოდით დათარიღებულ, ზემოთ განხილულ წიგნში (ბერძენიშვილი, 1953: 82-84, საბუთი 121) ანგარიშსწორება ახალციხელსა და თბილისელს შორის „რუსის თეთრითაც“ წარმოებს; სამწუხაროდ, ნომინალი დაკონკრეტებული არ არის. „რუსსის თეთრი“, სხვათა შორის, მოიხსენიება კიდევ ერთ საბუთში, რომელიც გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის პირველი წლებით, კერძოდ, 1748 წლით თარიღდება (ბეჭდის ანაბეჭდის მიხედვით). ფაქტია, რომ რაღაცა, თუნდაც მცირედი წილი ადგილობრივ სამონეტო მიმოქცევაში რუსეთის იმპერიის ვერცხლის მონეტებისაა (რუბლებისაა?) (ბერძენიშილი, 1953: 156, საბუთი 214). დანამდვილებით ვიცით ასევე, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში ასევე მიმოიქცეოდა რუსული რუბლები, როგორც „ძველი“ (ვერცხლის მეტი

რაოდენობით შემცველი, ანასი და ელისაბედის), ასევე „ახალიც“ (ვერცხლის ნაკლები რაოდენობით შემცველი, ეკატერინესი); ამას ადასტურებენ 1770-იანი წლების ნარატიული და დოკუმენტური წყაროები (ფაღავა, 2023: 248-256). რუბლების გარდა, ქართლ-კახეთის სამეფოში ასევე მიმოიქცეოდა შედარებით დაბალწონიანი რუსული ვერცხლის საფასე - გრივენიკები (гривенник). ამ შემთხვევაში პირიქით - წერილობითი წყაროების დუმილის პარალელურად ამ ნომინალის მონეტებს არცთუ მცირე რაოდენობით ვხვდებით ქართლ-კახეთის სამეფოში ტეზავრირებულ, როგორც ჩანს, ეთნოგრაფიულ-რელიგიური ხასიათის სამონეტო კომპლექსებში (ფაღავა, 2023: 247).

სპილენძი

ქართლ-კახეთის სამეფოს სპილენძის მონეტები ძალიან კარგად არის შესწავლილი და მათი ტიპოლოგიის განხილვას აზრი არა აქვს. პირდაპირ გადავალთ მათი მიმოქცევის საკითხზე.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ტიპის სხვადასხვა ნომინალის გამოშვებული ტირაჟი უცნობია. თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წარმოების მასშტაბი დროთა განმავლობაში უნდა გაზრდილიყო; ამას ხელს შეუწყობდა რამდენიმე გარემოება: 1) სახელმწიფოს დედაქალაქის, თბილისის, და სხვა ურბანული დასახლებების ურბანული განვითარება (შედარებითი სამხედრო სტაბილურის წყალობითაც), 1795 წლამდე მაინც; 2) საზოგადოდ, სახელმწიფოს ეკონომიკური წინსვლა (გეორგიევსკის ტრაქტატის დადებით გამოწვეულ საგარე-სამხედრო საფრთხის მკვეთრად გაზრდამდე მაინც), რომლის ერთ-ერთ კომპონენტად ეკონომიკის გაზრდილი მონეტიზაციაც უნდა მივიჩნიოთ; 3) ფულად გარდაქმნისთვის ვარგისი სპილენძის დიდი რაოდენობით შემოდინება და, შესაბამისად, ხელმისაწვდომობა; 4) სახელმწიფოს მესვეურთა ფულადი პოლიტიკის ევოლუცია-განვითარება; უფრო მეტად გამოხატული საკრედიტო ბუნების მქონე საფასის შემოღება-დანერგვის იდეის ჩასახვა (დიდი ალბათობით, საგარეო, რუსეთის იმპერიის ანალოგების მიბაძვით) - ფისკალური მოგების დამატებით გაზრდის მიზნით.

იმ გარემოებას, რომ ქართლ-კახეთის მონეტები ძალიან დიდი რაოდენობით იჭრებოდა, ცალსახად ადასტურებს დღემდე შემორჩენილ ცალთა სიუხვე. მათ ფართოდ გავრცელებაზე მიუთითებს როგორც წინა პერიოდში (ევგენი პახომოვის შეგროვებული ცნობებით), ასევე ბოლო წლების მრავალრიცხოვანი პოვნის ფაქტები; მართალია, ბოლოდროინდელი აღმოჩენების უმეტესი ნაწილი, სამწუხაროდ, უპასპორტოა, მაგრამ მათი გეოგრაფიული განაწილება, რამდენადაც შეგვიძლია დაკვირვებით ვიმსჯელოთ, საკმაოდ ფართოა, და უწინდელი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიის უდიდეს ნაწილს მოიცავს.

ქართლ-კახეთის სამეფოს სპილენძის ფულის მიმოქცევისა და ეკონომიკური როლის ანალიზისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ და გავაანალიზოთ, ისევ და ისევ, როგორც წერილობითი წყაროები, ასევე ცალკეული მონეტებისა და სამონეტო კომპლექსების აღმოჩენის ფაქტები.

ამა თუ იმ გარიგებისადმი მიძღვნილ თანადროულ საბუთებში სპილენძის ფული, როგორც ესეთი, საკმაოდ იშვიათად მოიხსენიება. მოხსენიებულია უფრო ან ვერცხლის მონეტები, ან მსხვილი საანგარიშო ერთეულები.

მრავალი საბუთის გაცნობის შემდეგ იქმნება მყარი შთაბეჭდილება, რომ სპილენძის, სხვანაირად რომ ვთქვათ, შავი ფული უპირატესად წვრილ აღებ-მიცემობაში თუ გამოიყენებოდა; გარიგების მთავარ მატერიალურ სუბსტრატს კი ვერცხლის, ძალზედ იშვიათად ოქროს საფასე წარმოადგენდა.

ვიპოვეთ ჯერჯერობით ორად-ორი საბუთი, რომელშიც მითითებულია შავი ფულით მეტ-ნაკლებად არსებითი თანხების გასტუმრება. ამგვარი ფაქტი გვხდება 1790 წლის ახტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის წიგნში, სადაც საუბარია 26 თუმნისა და 2.5 მინალთუნის „შავი ფულით“ გასტუმრებაზე (ბერძენიშვილი, 1955: 97, საბუთი 67). XVIII

საუკუნის დასასრულით დათარიღებულ ანგარიშის წიგნში საუბარია მხოლოდ და მხოლოდ 2 მინალთუნზე (ბერძენიშილი, 1955: 326, საბუთი 220).

თუმცა, ეს ორი შემთხვევა უფრო გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს, რომელიც თითქოს საერთო წესს უფრო მეტად წარმოაჩენს. ეს უფრო გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს; ქართლ-კახეთის სამეფოში წამყვანი ხომ ვერცხლის საფასე იყო. შავი ფულის არასრულფასოვნება, გამოყენების შეზღუდულობის გაგებით, ვერცხლის მონომეტალიზმის სახელმწიფოსთვის სავსებით ბუნებრივად გვეჩვენება.

ამ მხრივ ძალიან სამაგალითოა, რომ რუსეთის იმპერიის ფარგლებში რუსული სპილენძის მონეტებით ნასესხებ ფულს ქართლ-კახეთის სამეფოში ვერცხლის საფასით ისტუმრებენ (1794 წლის 1 ივლისის აღა-სტეფანა აბიმელიქოვისა და მანუჩარ თუმანიშვილის ანგარიში (ბერძენიშვილი, 1953: 112, საბუთი 169).

ცალკეული მონეტებისა და სამონეტო კომპლექსების აღმოჩენებს რომ მივუბრუნდეთ, თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ საპირისპიროდ ქართლ-კახეთის სამეფოს სპილენძის მონეტებისა, თანადროული, იმპორტირებული (რუსეთის იმპერიისა თუ სახანოების) სპილენძის მონეტების პოვნის ფაქტები შეუდარებლად უფრო იშვიათია.

ეჭვიც არ გვეპარება, რომ უცხოური სპილენძის საფასე ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე ლეგალურ საფასეს არ წარმოადგენდა; მისი მიმოქცევის შეზღუდვა-აკრძალვა აუცილებელი წინაპირობა იქნებოდა საკუთარი, მნიშვნელოვანწილად საკრედიტო და, აქედან გამომდინარე, დიდი მოგების მომტანი სპილენძის ფულის გამოსაშვებად.

თვალში საცემია, ასევე, რომ პრაქტიკულად არ ვიცნობთ ქართლ-კახეთის სამეფოს სპილენძის მონეტების განძად ტეზავრაციის ფაქტებს. თუ ცნობაში მოყვანილი ვერცხლის მონეტების შემცველი განძების რაოდენობა უკვე ორ ათეულს აღემატება, სპილენძის ფულების შემცველ სამონეტო კომპლექსს ორად-ორს ვიცნობთ:

1) 1906 წელს გორის უიეზდში აღმოჩენილი ცნობილი შერეული განძი, რომელშიც ირაკლი II-ის სირმა აბაზების გარდა შედიოდა სპილენძის მონეტებიც: რუსეთის იმპერიის ხუთკაპიკიანები; ასევე, როგორც ჩანს, ორკაპიკიანებიც; *და* ირაკლი II-ის ორი სხვადასხვა ტიპის სპილენძის მონეტები - ორ- და ერთთავიანი არწივის გამოსახულებით (ფაღავა, 2023: 229);
2) 2020-იანი წლების დასაწყისში გვაჩვენეს რამდენიმე მონეტისგან შემდგარი სამონეტო კომპლექსი; პოვნის ადგილი და გარემოებები უცნობი დარჩა, ვერც მონეტების გადაღება მოვახერხეთ. თუმცა, ყველა მონეტა წარმოადგენდა ირაკლი II-ის 1796 წლით დათარიღებულ ბისტებსა და ნახევარ-ბისტებს ერთთავიანი არწივის გამოსახულებით.

ჩვენი აზრით ამ გარემოებას შეიძლება რამდენიმე განმარტება მოეძებნოს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შავი ფულის, როგორც საფასის როლი საკმაოდ შეზღუდული იყო. მეტ-ნაკლებად მსხვილი გარიგებისთვის შესაძლებელი იქნებოდა უკვე ვერცხლის მონეტის - სირმა შაურისა და უზალთუნის გამოყენებაც. სირმა შაური საკმაოდ წვრილი ფულადი ერთეული იყო; მოვიყვანთ თანაფარდობას: 1 შაური = 2.5 ბისტს = 5 ნახევარ-ბისტს = 10 ფულს. ტეზავრაციისთვის, ბუნებრივია, ბევრად უფრო მოსახერხებელი იქნებოდა ვერცხლის საფასის გამოყენება.

შავი ფულის ტეზავრაციას ასევე ხელს შეუშლიდა ის გარემოება, რომ, ჩანს, მუდმივად წარმოებდა მისი renovatio (renovatio monetae). ძველი, წინარე ტიპის სპილენძის მონეტები ბათილდებოდა (რაც ირანში მიღებულ და დადასტურებულ პრაქტიკას წარმოადგენდა) ან უფასურდებოდა მაინც. მათ ხელახალ ლეგალიზაციას კი დადამღვა ესაჭიროებდა: კარგად არის ცნობილი თეიმურაზისა და თეიმურაზ-ერეკლეს სპილენძის მონეტები თეიმურაზის II-ის დამღით; ზოგჯერ ასევე ირაკლი II-ის დამღით (რაც მიუთითებს მათი ხელახლა ლეგალიზაციის აუცილებლობაზე); შემდგომი პერიოდის ირაკლი II-ის სხვადასხვა ტიპის მონეტები II-ის დამღითვე (Paghava, Lobzhanidze, Turkia,

2008). გასაგებია, რომ მოსახლეობა მოერიდებოდა იმ ფულის გადანახვა-გადამალვას, რომელიც ხელისუფლებას შეეძლო ნებისმიერ დროს გაებათილებინა და პერიოდულად აბათილებდა კიდევაც (უეჭველია, მოსახლეობისთვის წინასწარ ამის შეტყობინების გარეშე). ამ მოსაზრებას ადასტურებს ორი გარემოება: 1) სპილენძის ფულების შემცველი სამონეტო კომპლექსების უკიდურესი იშვიათობა; და 2) თუ ვიმსჯელებთ 2020-იანი წლების უპასპორტო განძით, ამგვარ კომპლექსებში ორი სხვადასხვა სამონეტო ტიპის შეურევლობით (საფასის სტატუსის დაკარგვის შემდეგ ფულის გადანახვას აზრი ეკარგებოა).

გორის უიეზდში ნაპოვნი მსხვილი განძი ერთგვარი გამონაკლისია, მასში შერეულია როგორც ორთავიანი, ასევე ერთთავიანი არწივის გამოსახულებიანი, ანუ, ქართლ-კახეთის სამეფოს სხვადასხვა ტიპის სპილენძის ფულები; რომ აღარაფერი ვთქვათ რუსეთის სპილენძის იმპერიის მონეტებზე (და ქართლ-კახეთის სამეფოს *ვერცხლის* მონეტებზე). ვერ გამოვრიცხავთ, რომ ამ დეპოზიტის მფლობელი რუსეთის იმპერიასთან ვაჭრობაში ჩართული პირი ყოფილიყოს. საკითხი დამატებით ანალიზს საჭიროებს.

როგორც დავინახეთ, მონეტარული და წერილობითი პირველწყაროები შეიცავს საკმაოდ ვრცელ და მნიშვნელოვან ცნობებს ქართლ-კახეთის სამეფოში ფულადი მიმოქცევის შესახებ. განვიხილოთ და განვაზოგადოთ ამ პირველწყაროების მიერ შემონახული ინფორმაციის შესწავლის შედეგები.

როგორც დავინახეთ, ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიკაში წარმოდგენილი ფულადი მასა არ იყო ერთგვაროვანი. საუბარია არა მარტო მის ფიზიკურ გამოხატულებაზე ნივთიერ სამყაროში - მონეტებზე (თანაც სხვადასხვა ლითონისგან დამზადებულ), ქაღალდის ფულზე, თუ სხვადასხვა სახის ფინანსურ დერივატზე (თამასუქი, აქცია, ობლიგაცია), ან, სულაც უნაღდო (ვირტუალური) ანგარიშსწორების საშუალებებზე; - არამედ ფულის სხვადასხვა სახეობათა, ანუ, სხვადასხვანაირი ფულის განსხვავებულ ბუნებაზე, და, შესაბამისად, განსხვავებულ ეკონომიკურ ფუნქციაზე.

თანამედროვეობაშიც ფული ფიზიკურად განსხვავებულია, მაგრამ ერთნაირად მაინც არის ნომინირებული (ამა თუ იმ დასახელების ვალუტას წარმოადგენს); ამასთანავე, მონეტებს მხოლოდ შეზღუდული და დამხმარე მნიშვნელობა ენიჭება, რაც განაპირობებს თუნდაც მსოფლიო ვალუტების (მაგალითად, დოლარი, ევრო) ხურდა ფულის შეზღუდულ კონვერტირებადობას შესაბამისად აშშ-ებისა და ევროზონის ფარგლებს გარეთ; რაც მთავარია, თანამედროვე (უიშვიათესი, ნახევრად-ექსპერიმენტული ვალუტების გარდა; ვგულისხმობთ მაგალითად თანამედროვე ისლამურ ოქროს დინარს) საფასე, როგორც ასეთი, თავისი ბუნებით მოკლებულია კავშირს შინაგანი ღირებულების მატერიალურ მატარებელთან და „იდეალურ“ საკრედიტო ფულს წარმოადგენს (ქაღალდის ფულის შემთხვევაში მწარმოებლისთვის საფასის თვითღირებულება საკმაოდ დაბალია, ხოლო მფლობელისთვის კი ნულს უახლოვდება - ქაღალდის სრული გამოუსადეგრობიდან გამომდინარე).

განსხვავებით თანამედროვეობისგან, XVIII საუკუნის II ნახევრის ახლო აღმოსავლეთში, ირანულის სამყაროსა და სამხრეთ კავკასიის ჩათვლით, მდგომარეობა განსხვავებული იყო.

საზოგადოებრივი ურთიერთობების მოდელიდან (სახელმწიფო რეპრესიული აპარატის სისუსტიდან? ეკონომიკური ურთიერთობების განუვითარებლობიდან?) გამომდინარე, ბაზრისთვის საკრედიტო ფული მიუღებელი აღმოჩნდა. სპილენძის ფულიც კი ნაწილობრივ არასაკრედიტო საფასეს წარმოადგენდა, ვინაიდან შედგებოდა მართალია არაძვირფასი, მაგრამ გარკვეული, და არცთუ მცირე ღირებულების ლითონისგან; დადგენილია, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს სპილენძის მონეტებში შემავალი სპილენძი შეადგენდა შესაბამისი შავი, სპილენძის ფულის ღირებულების საკმაოდ არსებით ნაწილს, კერძოდ, 30-50%-საც კი (Paghava, 2017: 248-249). ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ

ეწინააღმდეგებოდა მოსახლეობა მისთვის საკრედიტო საფასის დაძალებას (რაც სახელმწიფოსთვის დიდი მოგების მომტანი იქნებოდა, მაგრამ ამ ფინანსური ინსტრუმენტის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში ეკონომიკისთვის საზიანო იქნებოდა), არის ქართლ-კახეთის სამეფოს სპილენძის მსხვილი ნომინალის ფულის დანერგვის სირთულეები (Paghava, 2017: 250). უნდა ითქვას, რომ თავისივე შავ ფულს მოსახლეობაში ნდობას ქართლ-კახეთის სამეფოს ხელისუფლება თავადვე უკარგავდა - იმწამიერი მოგების მიზნით პერიოდულად წინარე სამონეტო ტიპის აკრძალვა-გაბათილებით, და დადამღვის მეთოდით მისი კანონიერების აღდგენისათვის გადასახადის შემოღებით (renovatio monetae).

მსხვილ გარიგებებში მონაწილეობდა სრულფასოვანი, ასე ვთქვათ, სრული შინაგანი ღირებულების მქონე ვერცხლისა და ოქროს საფასე. თუმცა, მათი სტატუსიც არ იყო ერთნაირი. ქართლ-კახეთის სამეფო, ტრადიციულად, ვერცხლის მონომეტალიზმის ქვეყანას წარმოადგენდა, (მეტწილად იმპორტირებული) ოქროს მონეტა კი უფრო საქონელ-საფასეს წარმოადგენდა, რომელსაც არ ჰქონდა სტაბილური და დაკანონებული ღირებულება.

თუმცა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ირაკლი II-ის რეფორმამდე ეს ვერცხლის მონომეტალიზმი დამყარებული იყო სხვადასხვა ტიპისა და წარმომავლობის, როგორც თბილურ, ასევე შემოტანილ ვერცხლის მონეტებზე. ამასთანავე, ქართლ-კახეთის აღმოჩენებს შორის სირმა ვერცხლის შემოღებამდე მოჭრილი და არათბილური წარმომავლობის ვერცხლის მონეტების სიუხვე (Пахомов, 1926: 32-33) გვიჩვენებს, რომ გვიანდელ, სირმა პერიოდისგან განსხვავებით, თბილურ საფასეს არ ჰქონდა სამეფოს ტერიტორიაზე ექსკლუზიური სტატუსი, არამედ მიმოიქცეოდა სხვა ზარაფხანებში მოჭრილ ვერცხლის მონეტებთან ერთად; ყველა მონეტის ღირებულებას, საფიქრებელია, განსაზღვრავდა მათში ძვირფასი ლითონის შემადგენლობა, ანუ, პირველ რიგში, წონა - ირანსა და რეგიონში სეფიანურ და პოსტ-სეფიანურ ეპოქაში, საკმაოდ იშვიათი გამონაკლისების გარდა, ვერცხლის მონეტები ძალიან მაღალის სინჯის ვერცხლისგან იჭრებოდა; ამრიგად, სინჯის საკითხში შეიძლება უგულებელვყოთ. სირმის შემოღებამდე მიმოიქცეოდა ირანული ტიპის საფასე (ოსმალური საოკუპაციო მონეტებიც, ჩანს, ირანული სტანდარტით მოიჭრა), ინდური რუფიებიდან ნადირის მიერ გადმოღებული რუფიის (ნადირის) ნომინალის (და თავად ინდური რუფიების) ჩათვლით.

ირაკლი II-ის მიერ ჩატარებული რეფორმის შემდგომ კი ქართლ-კახეთის სამეფოს ვერცხლის მონომეტალიზმი *ექსკლუზიურად* სირმა თეთრს დაეფუძნა. თუმცა, ბუნებრივია, გამოიყენებოდა და გარკვეულწილად ბრუნავდა სხვა სახის (უცხო) ვერცხლის მონეტებიც; მაგრამ, ისინი, ოქროს მსგავსად უფრო საქონელ-ფულს წარმოადგენდნენ, ფიქსირებული ღირებულების გარეშე; მათი ღირებულება ისევ და ისევ *თეთრით*, ანუ დაკანონებული ვერხლის საფასით იანგარიშებოდა, რომელშიც სირმა თეთრი უნდა ვიგულისხმოთ.

ამრიგად, ქართლ-კახეთის სამეფოს ვერცხლის მონომეტალიზმე დამყარებული ეკონომიკა და სამონეტო ბაზარი საწყის სტადიაზე ღია იყო, ირაკლი II-ის რეფორმის შემდგომ კი ჩაიკეტა და *ეპიქორული* გახდა.

დასკვნები

ქართლ-კახეთის სამეფოს (1744-1801) ფულადი მიმოქცევის შესწავლა იძლევა შესაძლებლობას გამოვიტანოთ გარკვეული დასკვნები ამ გვიან-ფეოდალური თუ, უფრო, უკვე ახალი დროის ქართული სახელმწიფოს ეკონომიკურ, ნაწილობრივ კი, ასევე, კულტურულ და პოლიტიკურ ისტორიაზე.

დადგინდა და დადასტურდა ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი მიმოქცევის ზოგადი სურათი, კერძოდ:

1. საკრედიტო საფასის მიუღებლობა: ქაღალდის ფულის არაკონვერტირებადი სტატუსი; სპილენძის ფულის შეზღუდული როლი ეკონომიკაში;

2. ვერცხლის მონომეტალიზმის ფაქტი, რომლის ფარგლებში ოქროს მონეტებიც კი (საკუთარიც და იმპორტირებულიც) საქონელ-საფასის როლს ასრულებდა;
3. ქართლ-კახეთის სამეფოში ფულადი მიმოქცევა მნიშვნელოვანწილად წინარე პერიოდის, ირანულ (სეფიანურ და პოსტსეფიანურ) ტრადიას ეყრდნობოდა და მას აგრძელებდა; თუმცა, ქართლ-კახეთის სამეფოს ხელისუფლება არ ერიდებოდა გარკვეული ინოვაციების შემოღებასაც;
4. ქართლ-კახეთის სამეფოს ფულადი ბაზარი სპონტანურად ჩამოყალიბდა - სეფიანთა ირანზე დაახლოებით ორსაუკუნოვანი დამოკიდებულებისა და შემდგომ ოსმალობა-ყიზილბაშობის ნაყოფს წარმოადგენდა; თუმცა, ადრეულ ეტაპზევე დაიწყო მისი მოდიფიცირება ქართლ-კახეთის მეფეების, თეიმურაზ II-ისა და ირაკლი II-ის მიერ გამოშვებული საფასის ხარჯზე, რომელიც ერთვებოდა ადგილობრივ ფულად მიმოქცევაში. შემდგომში, სამეფოს არსებობის ბოლო ათწლეულებში, 1770-იანი წლებიდან, საკუთარი სამონეტო ემისიების ფაქტორს დაერთო უკვე უშუალოდ სამონეტო ბაზრის გაკონტროლების მეტ-ნაკლებად ქმედითი მცდელობები;
5. ირაკლი II-ის მიერ ჩატარებული რეფორმის შედეგად ეროვნული / სახელმწიფო ბაზრის დახურვა უცხოური (ძვირფასი ლითონის) მონეტისთვის; დახურვაში იგულისხმება მისთვის კანონიერი ანგარიშსწორების საშუალების სტატუსის ჩამორთმევა, და არა მისი იმპორტირების შეწყვეტა ან სავალდებულო კონვერტირების შემოღება.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ანთაძე, მ. (1982). *საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ბაგრატიონი, ა. (1890). *ანდერძი ანტონის II საქართველოს კათალიკოსისა.* გამოცემული დიმიტრი პეტრესძის ფურცელაძისგან. ტფილისი.

ბაგრატიონი, თ. (1964). *თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი.* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანეიშვილმა). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ბერძენიშვილი, ნ. (1938). (მასალები შეარჩია და გამოსცა). *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი I (ხელფასი, ქირა, ფასები).* თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ბერძენიშვილი, ნ. (1953). (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა). *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი II (ვალი, იჯარა, ვაჭრობა).* თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ბერძენიშვილი, ნ. (1955). (მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა). *მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება).* თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გიულდენშტედტი, ი.ა. (1962). *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი.* გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ელერდაშვილი, ვ. (2022). Facebook post. May 1, 2022. Retrieved May 13, 2022 (https://www.facebook.com/groups/455688128924428/user/1051480269/)

ფაღავა, ი. (2010). *ავშარიანთა დინასტიის საფასე კავკასიის ფულად მიმოქცევაში.* ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. 2(8).

ფაღავა, ი. (2021). *ირაკლი II-ის 1765/6-1768/9 (ჰიჯრის 1179-1182) წლების სამონეტო რეფორმა.* ენრიკო გაბიძაშვილი 90. (რედაქტორი ნინო მელიქიშვილი). თბილისი.

ფაღავა, ი. (2023). *სირმა თეთრი. ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე.* თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.

ფაღავა, ი. (2012). *სპილენძის ღირებულება ქართლ-კახეთის სამეფოში XVIII საუკუნის მიწურულს ისტორიული საბუთების მიხედვით (თანადროული სპილენძის საფასის თვითღირებულების საკითხისთვის).* საისტორიო კრებული. ტომი 2.

ფაღავა, ი., ბიჭიკაშვილი, ი., ჩაგუნავა, რ. (2014). *ქართლ-კახეთის სამეფოს ოქროს საფასე (ქართული ოქროს შაურის ისტორია).* საისტორიო კრებული. ტომი 4.

ქოიავა, ნ. (1946). *საქართველოს ფულის მიმოქცევა XVIII საუკუნეში.* ი. სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. XXVIII.

ქოიავა, ნ. (1963). *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჯავახიშვილი, ნ. (2011). *პირველი ქართველი ჰერალდიკოსი და ნუმიზმატი მეფე.* საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. II.

Paghava, I. (2017). *The Profitability of Minting Civic Copper Coins and the Identification of Emerging Nationalism as Seen Through Coin Imagery. A Case Study of the East-Georgian Kingdom Kartl-Kakheti. Iranian Numismatic Studies. A Volume in Honor of Stephen Album.* Editor: Mostafa Fahfoury. Lancaster/London: Classical Numismatic Group.

Paghava, I., Lobzhanidze G., Turkia S. (2008). *Countermarking of Copper Coins in Late 18th Century Georgia*. Caucasian Numismatics, Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to Newsletter of Oriental Numismatic Society. 197.

фон Винклер, П. (1898). *Чеканка монет для Грузии (1804-1833 гг.)*. Из истории монетного дела в России. Санкт-Петербург.

Пахомов, Е. (1926). *Монетные клады Азербайджана и Закавказья.* Труды общества обследования и изучения Азербайджана, выпуск 3. Баку: Издание Общества обследования и изучения Азербайджана.

Пахомов, Е. (1979). *Монеты Грузии*. Тбилиси: Издательство “Мецниереба”.

REFERENCES

antadze, m. (1982). sakartvelosa da turketis urtiertoba XV-XVIII sauk'uneebshi numizmat'ik'urio masalis mikhedvit [Relations between Georgia and Turkey in the 15th-18th centuries according to numismatic material]. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“ [Tbilisi: Publishing House “Metsniereba”].

bagrat'ioni, a. (1890). anderdzi ant'onis II sakartvelos k'atalik'osisa [Testament of Anton II, Catholicos of Georgia]. gamotsemuli dimit'ri p'et'resdzis purtseladzisgan [Published by Dimitri son of Petre Purtseladze]. t'pilisi.

bagrat'ioni, t. (1964). teimuraz bagrat'ionis ts'erilebi ak'ad. m. brosesadmi. (t'ekst'i gamosatsemad moamzada, ts'inasit'qvaoba, shenishvnebi da sadzieblebi daurto solomon qubaneishvilma) [The Letters of Teimuraz Bagrationi to Acad. M. Brosset (Text Prepared for Publication, Preface, Commentaries and Indices Attached by Solomon Qubaneishvili]. tbilisi: gamomtsemloba „metsniereba“ [Tbilisi: Publishing House “Metsniereba”].

berdzenishvili, n. (1938). (masalebi shearchia da gamostsa) [Selected and Published the Materials]. masalebi sakartvelos ek'onomiuri ist'oriisatvis. ts'igni I (khelpasi, kira, pasebi) [Materials on the Economic History of Georgia. Book I (Renumeration, Rent, Prices)]. tbilisi: st'alinis sakhelobis tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba [Tbilisi: Publishing House of Stalin Tbilisi State University].

berdzenishvili, n. (1953). (masalebi shearchia da gamosatsemad moamzada) [Selected and Prepared for Publication the Materials]. masalebi sakartvelos ek'onomiuri ist'oriisatvis. ts'igni II (vali, ijara, vach'roba) [Materials on the Economic History of Georgia. Book II (Credit, Farming, Trade)]. tbilisi: st'alinis sakhelobis tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba [Tbilisi: Publishing House of Stalin Tbilisi State University].

berdzenishvili, n. (1955). (masalebi shearchia da gamosatsemad moamzada) [Selected and Prepared for Publication the Materials]. masalebi sakartvelos ek'onomiuri ist'oriisatvis. ts'igni III (aghmshenebloba, sakhelmts'ipo ek'onomik'a, koneba) [Materials on the Economic History of Georgia. Book III (Construction Works, State Economy, Property)]. tbilisi: st'alinis sakhelobis tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba [Tbilisi: Publishing House of Stalin Tbilisi State University].

giuldensht'edt'i, i.a. (1962). giuldensht'edt'is mogzauroba sakartveloshi. t'omi p'irveli [Gueldenstaedt's Journey to Georgia. Volume One]. germanuli t'ekst'i kartuli targmaniturt gamostsa da gamok'vleva daurto g. gelashvilma [German Text with Georgian Translation Published and Studied by G. Gelashvili]. tbilisi: sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba [Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences].

elerdashvili, v. (2022). Facebook post. May 1, 2022. Retrieved May 13, 2022 (https://www.facebook.com/groups/455688128924428/user/1051480269/)

paghava, i. (2010). avsharianta dinast'iis sapase k'avk'asiis pulad mimoktsevashi [Coinage of the Afsharid Dynasty in the Monetary Circulation of Caucasus]. akhali da uakhlesi ist'oriis sak'itkhebi [Studies in Modern and Contemporary History]. 2(8).

paghava, i. (2021). irak'li II-is 1765/6-1768/9 (hijris 1179-1182) ts'lebis samonet'o reporma [Monetary Reform of Irakli II of 1765/6-1768/9 (H. 1179-1182)]. enrik'o gabidzashvili 90 [Enrico Gabidzashvili 90]. (redakt'ori nino melikishvili) [(Editor Nino Melikishvili)]. tbilisi.

paghava, i. (2023). sirma tetri. kartuli erovnuli vertskhlis sapase [Sirma Tetri. Georgian National Silver Currency]. tbilisi: gamomtsemloba „meridiani" [Tbilisi: Publishing House "Meridiani"].

paghava, i. (2012). sp'ilendzis ghirebuleba kartl-k'akhetis sameposhi XVIII sauk'unis mits'uruls ist'oriuli sabutebis mikhedvit (tanadrouli sp'ilendzis sapasis tvitghirebulebis sak'itkhistvis) [Price of Copper in the Kingdom of Kartl-Kakheti by the End of the 18th Century according to Historical Documents (on the Issue of the Self-Cost of Contemporary Copper Currency)]. saist'orio k'rebuli. t'omi 2 [Historical Collections. Volume 2].

paghava, i., bich'ik'ashvili, i., chagunava, r. (2014). kartl-k'akhetis samepos okros sapase (kartuli okros shauris ist'oria) [Gold Currency of the Kingdom of Kartl-Kakheti (History of Georgian Gold Shauri). saist'orio k'rebuli. t'omi 4 [Historical Collections. Volume 4].

koiava, n. (1946). sakartvelos pulis mimoktseva XVIII sauk'uneshi [Monetary Circulation in Georgia in the 18th Century]. i. st'alinis sakh. tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is shromebi [Works of J. Stalin Tbilisi State Univerisity]. XXVIII.

koiava, n. (1963). pulis mimoktseva, k'redit'i da pinansebi XVIII sauk'unis kartl-k'akhetshi [Monetary Circulation, Credit and Finances in the 18th Century Kartl-Kakheti]. tbilisi: tbilisis universit'et'is gamomtsemloba [Tbilisi: Publishing House of Tbilisi University].

javakhishvili, n. (2011). p'irveli kartveli heraldik'osi da numizmat'i mepe [The First Georgian Armorist and Numismatist King]. sakartvelos ist'oriis inst'it'ut'is shromebi. II [Works of the Institute of Georgian History. II].

Paghava, I. (2017). *The Profitability of Minting Civic Copper Coins and the Identification of Emerging Nationalism as Seen Through Coin Imagery. A Case Study of the East-Georgian Kingdom Kartl-Kakheti. Iranian Numismatic Studies. A Volume in Honor of Stephen Album.* Editor: Mostafa Fahfoury. Lancaster/London: Classical Numismatic Group.

Paghava, I., Lobzhanidze G., Turkia S. (2008). *Countermarking of Copper Coins in Late 18th Century Georgia*. Caucasian Numismatics, Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to Newsletter of Oriental Numismatic Society. 197

fon Vinkler, P. (1898). Chekanka monet dlja Gruzii (1804-1833 gg.). Iz istorii monetnogo dela v Rossii [Minting Coinage for Georgia (1804-1833). From the History of the Monetary in Russia]. Sankt-Peterburg.

Pahomov, E. (1926). Monetnye klady Azerbajdzhana i Zakavkaz'ja [Monetary Hoards of Azerbaijan and Transcaucasia]. Trudy obshhestva obsledovanija i izuchenija Azerbajdzhana, vypusk 3 [Works of the Society for the Survey and Study of Azerbaijan, Issue 3]. Baku: Izdanie Obshhestva obsledovanija i izuchenija Azerbajdzhana [Baku: Edition of the Society for the Survey and Study of Azerbaijan].

Pahomov, E. (1979). Monety Gruzii [Coins of Georgia]. Tbilisi: Izdatel'stvo “Mecniereba” [Tbilisi: Publishing House “Metsniereba”].

ცხრილი და დიაგრამები

ცხრილი 1. სხვადასხვა სახეობის ოქროს მონეტის ხვედრითი წილი 1790-იანი წლების - 1800-იანი წლების დასაწყისის ქართლ-კახეთის დოკუმენტებში (აბსოლუტურ ციფრებსა და საერთო რაოდენობის %-ში)

დასახელებული ოქროს მონეტის სახეობა	პირველწყარო						
	ანტონ კათალიკოსის ანდერძი (1793)	სტეფან-აღას დასახურდავებლად მოცემული ოქროს ანგარიში (1795)	ირაკლი მეფის პირადი ნივთების სია (1798)	გიორგი XII-ის მიერ ზეგთაბეგისშვილი იოანესადმი მიცემული თამასუქი (1799)	ძმები სულხანიშვილების გირაოების წუსხა (1799)	სპილენძის გაყიდვით მიღებული ოქრო (1800)	დავით ბატონიშვილის მიმართვა ლაზარევის ოქროს ვერცხლად დახურდავებაზე (1801)
	44 ოქროს მონეტა	*490 ოქროს მონეტა*	*867 ოქროს მონეტა*	*1250 ოქროს მონეტა*	*50 ოქროს მონეტა*	*90 ოქროს მონეტა*	*100 ოქროს მონეტა*
ბაჯაღლი	39 / 88.6%	390 / 79.6%	438 / 50.5%	1250 / 100%	50 / 100%	90 / 90%	100 / 100%
იალდუზის ოქრო			40 / 4.6%				
ფრანგის სიქის ძველი ოქრო			10 / 1.2%				
იმპერიალი	2 / 4.5%		39 / 4.5%				
ახალი სტანბოლის ოქრო			191 / 22.0%				
მისრის	3 / 6.8%						

თავრიზის ოქრო			2 / 0.2%				
საბყრანი			4 / 0.5%				
კონსტანდინე ჭელმწიფის ფოსო ოქრო			11 / 1.3%				
რაშის ოქრო			120 / 13.8%				
მოპრის ოქრო		100 / 20.4%					
ნახევარი და მთელი სხვადასხვა სიქის			12 / 1.4%				

დიაგრამა 1. სხვადასხვა ოქროს მონეტის ხვედრითი წილი 1790-1801 წლების ქართლ-კახეთის დოკუმენტებში, დაჯგუფებულად



დიაგრამა 2. სხვადასხვა ოქროს მონეტის ხვედრითი წილი 1790-1801 წლების ქართლ-კახეთის დოკუმენტებში, დაჯგუფებულად, დაწვრილებით



*მხარდაჭერისთვის გულწრფელ **მადლობას** მოვახსენებთ თამაზ გოგოლაძეს.*